

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს
სხდომის
ოქმი №5

2019 წლის 27 მარტი, 14:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერის პირველი მოადგილე-ზურაბ ჯაფარიძე.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, ქ.ლაგოდეხში რუსთაველის ქ.№1-ში მდებარე ორსართულიანი შენობის (ყოფილი №1 საშუალო სკოლის შენობა) ნაწილის - 443,8 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით ქორეოგრაფიული სტუდია „იმედსათვის“ გადაცემაზე).

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -11, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების, სოფელ ცოდნისკარის ადმინისტრაციული შენობის ნაწილის - 48,6 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრისათვის „ცოდნის კარი“ გადაცემაზე).

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -11, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-3-

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხს: ვ. ალიბეგაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -11, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

ჯამრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხს: ვ. ალიბეგაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -11, წინააღმდეგი -0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხს: ვ. ალიბეგაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -11, წინააღმდეგი -0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია